№ 70 =30

მთავრობის მოამბე | ყოველდღიური გაზეთი | წელიწადი მესამე

ფასი 2 მან. | კვირა, 28 მარტი 1920

# საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ." 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 40 მან., ცალკე ნომერი ყველგან 2 მა. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მე-4 გვ. 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

## სახელმწიფო თეატრი
ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით

კვირას, 28 მარტს დილით

### პ ი კ ი ს ქ ა ლ ი

საღამოს გუნდის ბენეფისი და ნ. პ. კოშიცის მეცხრე გასტროლი „ტოსკა". 29 მარტს ტენორ მიხეილ ნანობაშვილის (მიშელ დარიალის) პირველი გასტროლი „ვერტერი"

## საქ. სოც.-დემ. მუშათა პარტიის
**სიღნაღის სამაზრო კომიტეტი ამით აცხადებს,**

რომ 1-ლ აპრილისთვის (ახალი სტილით) დანიშნულია სამაზრო პარტიული კონფერენცია. განსახილველია შემდეგი საკითხები: 1) სამაზრო კომიტეტის მოხსენება, 2) მოხსენებანი ადგილებიდან. 3) თანამედროვე მომენტი, 4) პარტიული მუშაობა მაზრაში, 5) სამაზრო ერობის სოც. დემოკრ. ფრაქციის მოხსენება და 6) მიმდინარე საკითხები. თვითეულ სათემო ორგანიზაციას ევალება გამოგზავნოს ხსენებულ კონფერენციაზე დასასწრებლად თი-ორი წარმომადგენელი. კონფერენცია შესდგება ქ. სიღნაღში, სასამართლოს შენობაში დილის 10 საათზე.

355 3—3

**სამაზრო კომიტეტი**

## ტფილისის ქალაქის საბჭოს საარჩევნო კომისია
ამით აცხადებს, რომ 27, 28 და 29 მარტს

**მოხდება დამფუძნებელ კრების დამატებითი არჩევნები**

დიდუბეში მე-50 საარჩევნო უბანში, მე-12 უბნის სასურსათო კომიტეტის ბინაზე, ვლისაბედის და გლდანის ქუჩების კუთხეში.

356 3—3

## მიწათ-მოქმედ. სამინისტროს სახელმწიფო მამულთა სექცია
აცხადებს, რომ გიაურ-არხის სახელმწიფო მამული „კულლარ"-ში მოხდება საჯარო ვაჭრობა მანთაშევისეულ მამულის ორი წისქვილის იჯარით გასაცემად.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება გიაურ-არხის სახელმწიფო მამულის კანტორაში.

მისამართი: სადგ. სანდარი, გიაურ-არხის სახელმწიფო მამული. 335 3—3

## საქ. რესპ. ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველო
**იძლევა იჯარით ხასტამბო სამუშაოებს**

ხსენებულ სამუშაოთა აღებისა მსურველთ შორის დანიშნულია ფარული შეჯიბრება აპრილის 15-ს. დაწვრილებით პირობების გაგება და სამუყაოს გაცნობა შეიძლება სამმართველოში (რუსთაველის პროსპექტი № 43) ყოველ დღე, ნაშუადღევის 3 საათამდე. ვისაც სურს შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება, თავისი საბოლოო პირობები დახურულ კონვერტში უნდა წარუდგინოს სამმართველოს 15 აპრილის შუადღის 12 საათამდე. 360 3—2

## ოფიციალური განყოფილება

# Учредительное Собранiе Грузiи
## Ратификацiя.

Договора, заключеннаго между правительствами республикъ **Грузiи и Азербейджана.**

**Договоръ** между правительствами республикъ **Грузiи и Азербейджана** о транзитѣ,—заключенный въ городѣ Баку пятаго февраля сего тысяча девятьсотъ двадцатаго года,—**утверждается.**

1920 года марта 19.

Старшiй Товарищъ Предсѣдателя Учредительнаго Собранiя Грузiи

**Ал. Ломтатидзе.**

Баку, тысяча девятьсотъ двадцатаго года, февраля 5-го дня, Правительство Азербайджанской Республики, въ лицѣ Министра Торговли, Промышлености и Продовольствiя, Мамедъ Гасана Гаджинскаго и Министра Путей Сообщенiя, Худадатъ бека Меликъ-Асланова, съ одной стороны и Правительство Грузинской Республики въ лицѣ ея Дипломатическаго Представителя, Григорiя Константиновича Алшибая съ другой стороны—заключили настоящiй договоръ о нижеслѣдующемъ:

1.—Для грузовъ, слѣдующихъ по Азербайджанскимъ желѣзнымъ дорогамъ изъ-за предѣловъ Азербайджана въ Грузiю или изъ Грузiи за предѣлы Азербайджана, а также для грузовъ, слѣдующихъ по желѣзнымъ дорогамъ Грузiи изъ-за предѣловъ Грузiи въ Азербайджанъ или изъ Азербайджана за предѣлы Грузiи, устанавливается свободный транзитъ, т. е. транзитъ безъ пошлинъ, безъ всякихъ исходатайствованiй разрѣшенiй и задержки, но съ выполненiемъ необходимыхъ таможенныхъ формальностей.

Примѣчанiе: 1) Транзитный грузъ, нуждающiйся въ переработкѣ, въ количествѣ, потребномъ для внутренней надобности той Республики, въ которую онъ направляется, каковое количество опредѣляется Смѣшанной Комиссiей, можетъ быть задержанъ для переработки въ предѣлахъ той Республики, черезъ которую онъ слѣдуетъ не утрачивая характера транзитности.

Примѣчанiе: 2) На грузы слѣдующiе транзитомъ черезъ территорiи обѣихъ Республикъ вмѣстѣ, настоящiй договоръ не распространяется.

Примѣчанiе: 3) Транзитность грузовъ опредѣляется общими для обѣихъ сторонъ особыми признаками по взаимному соглашенiю равно и порядокъ слѣдованiя транзитныхъ грузовъ черезъ территорiю каждой изъ договаривающихъ сторонъ регулируется особыми, общими для обѣихъ Республикъ правилами, устанавливаемыми по взаимному соглашенiю.

2. Азербайджанское Правительство разрѣшаетъ къ вывозу въ Грузiю нефть и ея продукты для нуждъ населенiя и желѣзныхъ дорогъ Грузiи. Количество, подлежащихъ къ вывозу нефти и ея продуктовъ, опредѣляется Смѣшанной Комиссiей (ст. 17), но оно не должно превышть въ общей сложности шестнадцати миллiоновъ пудовъ въ годъ.

3. Изъ означеннаго въ ст. 2-ой количества разрѣшенныхъ къ вывозу нефти и ея продуктовъ, то количество, которое, по опредѣленiю Смѣшанной Комиссiи, будетъ потребно для нуждъ желѣзныхъ дорогъ Грузiи, но не свыше десяти миллiоновъ въ общей сложности, освобождается отъ пошлинъ, акциза и другихъ государственныхъ сборовъ, причемъ въ этихъ десяти миллiонахъ пудовъ количество бензина и другихъ продуктовъ опредѣляется Смѣшанной Комиссiей приблизительно предѣлахъ нормъ 1919 года.

Изъ остальныхъ шести милiоновъ пудовъ нефти и ея продуктовъ, нефть или мазутъ или то и другое вмѣстѣ въ количествѣ не болѣе 4,5 миллiоновъ пудовъ и керосинъ въ количествѣ не болѣе 1,5 миллiоновъ пудовъ, вывозимые для нуждъ населенiя, освобождаются отъ вывозной пошлины, но облагаются всѣми сборами, кои нынѣ существуютъ или впредь будутъ установлены на нефть, мазутъ и керосинъ предназначенные для внутренняго потребленiя Азербайджана.

Если же въ счетъ указанныхъ здѣсь четырехъ съ половинной миллiоновъ пудовъ нефти и мазута будутъ заявлены требованiя и на другiе нефтяные продукты, какъ-то бензинъ, масла и проч., то таковые разрѣшаются къ вывозу въ Грузiю въ количествѣ, по опредѣленiю Смѣшанной Комиссiи, приблизительно въ предѣлахъ вывоза 1919 года и освобождаются отъ пошлины, но облагаются акцизомъ и всѣми сборами, установленными для внутренняго потребленiя Азербайджана.

4) Смѣшная Комиссiя, учитывая общiй подвижной составъ обѣихъ Республикъ, обезпечиваетъ нжуды желѣзныхъ дорогъ и населенiя Грузiи нефтью и ея продуктами путемъ вывоза таковыхъ равномѣрными мѣсячными партiями. Въ случаѣ организацiи Правительствомъ Республики Грузiи перевозки нефти и ея продуктовъ въ предѣлахъ двухмѣсячныхъ нормъ собственнымъ подвижнымъ составомъ, Правительство Азербейджанской Республики не чинитъ препятствiй. Урегулированiе же этихъ перевозокъ производится также Смѣшанной Комиссiей (ст. 17).

Примѣчанiе 1) Ограниченiе вывоза равномѣрными двухмѣсячными парiями, не распространяется на продукты, потребляемые въ маломъ количествѣ, кмкъ-то бензина, масель и проч.

Примѣчанiе 2) Грузинстое Правительство, въ счетъ и въ предѣлахъ количества, определяемаго Смѣашнной Комиссiей для ежемѣсячной потребности въ нефтяныхъ продуктахъ, вправѣ требовать отъ Азербайджанскаго Правительства представленiя ему не болѣе половины того количества продуктовъ, которое прослѣдуетъ за это время по желѣзнымъ дорогамъ Грузiи или по трубопроводу. Расчетъ причитающагося, согласно сему примѣчанiю количества нефтяныхъ продуктовъ производится черезъ каждые пятнадцать (15) дней Управленiями желѣзныхъ дорогъ обѣихъ договаривающихся сторонъ.

5. Съ своей стороны Грузинское Правительство разрѣшаетъ къ вывозу безъ оплаты пошлиною и другими государственными сборами каменный уголь, лѣсные и другiе матерiалы, инструменты и предметы для нуждъ желѣзныхъ дорогъ Азербайджанской Республики въ количествѣ по опредѣленiю Смѣшанной Комиссiи.

6. Равнымъ образомъ, Грузинское Правительсво разрѣшаетъ къ вывозу изъ предѣловъ Грузiи въ Азербайджанъ по особымъ рѣшенiямъ Дипломатическаго Представителя Азербайджанскаго Правительства при Правительствѣ Грузiи безъ пошлинъ и государственныхъ сборовъ различные товары и продукты, за исключенiемъ хлѣбныхъ продуктовъ во всѣхъ видахъ, сахара и кожи, на общую сумму не свыше одной десятой стоимости нефти и ея продуктовъ, которые будутъ ввезены въ Грузiю на основанiи ст. 2 сего договора. Точное количество и стоимость вывезенныхъ товаровъ и продуктовъ опредѣляется каждые два мѣсяца Смѣшанной Комиссiей.

7. Нефть и ея продукты для нуждъ желѣзныхъ дорогъ Грузiи покупаются у Бюро по продажѣ нефти при Совѣтѣ Съѣзда Бакинскихъ Нефтепромышленниковъ по нижеслѣдующимъ цѣнамъ.

нефть и мазутъ—16 р. 50 к.
керосинъ . . . —21 руб.

при существовавшемъ въ январѣ сего года тарифѣ на нефтяные грузы.

Цѣны на остальные нефтяные продукты опредѣляются, согласно примѣчанiю къ сей статьѣ.

При дальнѣйшемъ увеличенiи желѣзнодорожнаго тарифа на эти грузы цѣны указанныхъ выше продуктовъ на каждый мѣсяцъ опредѣляются по формулѣ.

$$a + \frac{a \cdot (n - 1)}{2}$$

Въ этой формулѣ а—цѣна продукта, указанная выше, n—опредѣляется слѣдующей формулой:

$$n = \frac{\frac{k}{e} \times M - \frac{k'}{e'} \times M' - \frac{k''}{e''} \times M''}{M - M' - M''}$$ въ которой;

e—бывшiй въ январѣ сего года коэффицiентъ увеличенiя для керосина желѣзнодорожнаго тарифа до 10 iюля 1917 года.

e'—коэффицiентъ того же увеличенiя для коммерческой нефти и мазута.

e''—коэффицiентъ того же увеличенiя для масель и бензина.

k—коэффицiентъ новаго, могущаго послѣдовать увеличенiя для керосина желѣзнодорожнаго тарифа, дѣйствовавшаго до 10-го iюля 1917 года.

k'—коэффицiентъ того же увеличенiя для коммерческой нефти и мазута.

k''—коэффицiентъ того же увеличенiя для масель и бензина.

M—количество всего керосина, вывезеннаго изъ Баку по желѣзной дорогѣ и по керосинопроводу въ теченiи календарнаго мѣсяца, предшествовавшаго мѣсяцу опредѣленiя цѣнъ.

M'—количество всей нефти и мазута, вывозимыхъ изъ Баку по желѣзной дорогѣ и по керосинопроводу въ теченiи календарнаго мѣсяця, предшествовавшаго мѣсяцу опредѣленiя цѣнъ.

M''—количество всѣхъ масель и бензина, вывезенныхъ изъ Баку по желѣзной дорогѣ въ теченiи календарнаго мѣсяца, предшествовавшаго мѣсяцу опредѣленiя цѣнъ.

Примѣчанiе: При покупкѣ продуктовъ нефти, вывозъ которыхъ обусловленъ прiобрѣтенiемъ у Бюро эквивалентнаго количества нефти безъ права вывоза, послѣдняя отпускается по тѣмъ же цѣнамъ по которымъ прiобрѣтается и топливо для желѣзныхъ дорогъ.

8. Грузинское Правительство обязывается не разрѣшать вывоза за предѣли Грузинской Республики нефти и ея продуктовъ, которые оно будетъ вывозить изъ Азербайджанской Республики въ силу настоящаго договора, равно и Азербайджанское Правительство обязывается не разрѣшать вывоза за предѣлы Азербайджакской Республики товаровъ, вывозимыхъ изъ Грузiи въ Азербайджанъ въ силу ст. 6 настоящаго договора.

9. Въ случаѣ наступленiя явленiй непреодолимой силы, договаривающiяся стороны освобождаются отъ принимаемыхъ на себа по сему договору обязательствъ постольку, поскольку означенныя явленiя будутъ препятствовать выполненiю условiй сего договора.

10. Существующiе нынѣ желѣзнодорожные тарифы на транзитные грузы и на грузы, слѣдующiе изъ Грузiи въ Азербайджанъ и изъ Азербайджана въ Грузiю, могутъ быть измѣнены не иначе, какъ по взаимному соглашенiю обѣихъ договаривающихся сторонъ. Но, если при упраздненiи Бюро по продажѣ нефти при Совѣтѣ Съѣзда Бакинскихъ Нефтепромышленниковъ, при свобод-

номъ вывозѣ и покупкѣ на условіяхъ свободной конкуренціи, цѣны на нефть и мазутъ повысятся то по требованію каждой изъ договаривающихся сторонъ, желѣзнодорожные тарифы обѣими сторонами должны быть увеличены настолько, чтобы убытокъ для дорогъ стороны, требующій увеличенія тарифовъ, вызванный повышеніемъ цѣнъ на нефть и мазутъ былъ бы полностью покрытъ, при этомъ повышеніе тирифовъ должно быть разверстано на всѣ категоріи грузовъ и перевозокъ, по соглашенію сторонъ.

11. Провозная плата, вырученная за грузы, упомянутые въ ст. 10 распредѣляется между договаривающимися государствами пропорціонально числу верстъ- пройденныхъ грузами въ предѣлахъ каждаго государства.

12. Отпускъ нефти и ея продуктовъ для эксплоатапіи желѣзныхъ дорогъ, а также отпускъ матеріаловъ и грузовъ, необходимыхъ для эксплоатаціи Азербайджанскихъ желѣзныхъ дорогъ долженъ производится непрерывно въ необходимомъ для эксплоатаціи дорогъ количествѣ, не дожидаясь опредѣленія общаго годового потребленія, предусмотреннаго настоящимъ договоромъ.

13. Перекачиваюемую по трубопроводу нефть или керосинъ желѣзныя дороги Грузіи принимаютъ отъ Азербайджанскихъ желѣзныхъ дорогъ на ст. Салоглы по особымъ актамъ и передаютъ въ Батумъ или пункты, по указанію Азербайджанскихъ желѣзныхъ дорогъ. Послѣ пріема этихъ продуктовъ, за недостатку или учетку, за исключеніемъ нормальной утечки, опредѣляемой особымъ соглашеніемъ, отвѣчаетъ, независимо отъ причинъ. Грузинское Правительство.

14. Обѣ договаривающіяся стороны отвѣчаютъ также за цѣлость и сохранность всѣхъ грузовъ, слѣдующихъ по желѣзнымъ дорогамъ или трубопроводу на территоріи каждой изъ нихъ за исключеніемъ нормальной утечки.

15. На ст. Нотанеби, въ г. Поти, въ г. Баку, на ст. Ялома и на ст. Санаинъ имѣются представители Азербайджарской Республики и Грузинской Республики по принадлежности, которые слѣдятъ за выполненіемъ ст. 8 настоящаго договора.

16. Смѣшанная Комиссія въ концѣ каждой трети года провѣряетъ распредѣленіе вывезенныхъ изъ предѣловъ Азербайджанской Республики въ предѣлы Грузинской Республики нефти и ея продуктовъ между желѣзными дорогами Грузіи и населеніемъ Грузинской Республики и, въ соотвѣтствіи съ обнаруженіемъ, устанавливаэтъ расчетъ за сборы, пошлины и проч.

17. Упомянутая въ ст. 2—6, 10 и 16 Смѣшнная Комиссія состоитъ изъ четырехъ членовъ, по два отъ каждой изъ договаривающихся сторонъ, назначаемыхъ по соглашенію Министровъ Путей Сообщенія и Товговли и Промышленности каждой Республики по принадлежности. Въ случаѣ, если въ этой Комиссіи не будетъ достигнуто соглашеніе, то спорные вопросы передаются въ Арбитражную Комиссію, рѣшеніе которой считается окончательнымъ и обязательнымъ для обѣихъ договаривающихся сторонъ.

18. Изъ керосина, бензина, маселъ и другихъ нефтяныхъ продуктовъ, принадлежащихъ частнымъ лицамъ и слѣдующихъ въ Грузію внѣ условій настоящаго договора, Грузинское Правительство не вправѣ реквизировать болѣе 25% (двадцати пяти процентовъ). Это не касается транзитныхъ грузовъ, которые никакой реквизиціе не подлежатъ.

19. Срокъ сего договора годичный, считая со дня его подписанія, причемъ съ этого же дня онъ фактически вступаетъ въ дѣйствіе. Договоръ сей подлежитъ ратификаціи Парламентовъ обѣихъ Республикъ, каковая должна послѣдовать не позже двадцатаго (20) марта сего года, послѣ чего договоръ пріобрѣтаетъ полную силу. Если же въ этотъ срокъ ратификація не послѣдуетъ, то договоръ признается растрогнутымъ.

20. Настоящій договоръ составляется въ двухъ экземплярахъ, изъ коихъ одинъ остается у Правительства Азербайджанской Республики, а другой у Правительства Грузинской Республики.

Министръ Торговли, Промышлености и Продовольствія **М. Гаджинскій.**
Министръ Путей Сообщенія
**М. Аслановъ**
Дипломатическій Представитель Грузіи при Азербайджанскомъ Правительствѣ
**Гр. Алшибая.**

## არა ოფიციალური განყოფილება

## შინაგან საქმ. სამინისტროში

მოკლული ტუსაღის პიროვნების გამორკვევა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიღებული ცნობებით—წულენჯიხაში მოკლული ზუგდიდის ციხიდან გაქცეული ტუსაღი აღმოჩნდა ვალერიანე გობისანია, რომელიც ირიცხება საგანგებო სასამართლოზე.

### გ ა ტ ა ც ე ბ ა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო გორის სამაზრო ერობის ადმინისტრატიული ნაწილის გამგე ოქრუაშვილისაგან: „სადგურ გრაკლიდან 23 მარტს საღამოს 7 საათზე ავაზაკებმა გაიტაცეს ვაჭარი მემამულე ივანე უხურგუნაშვილი. ავაზაკების დევნა და საქმის ძიება სწარმოებს“.

### გაქცეული ტუსაღების გამოცხადება.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცნობა მიიღო ზუგდიდიდან—ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწე მომფორიასაგან, რომ 24 ამა მარტს მასთან გამოცხადებულან თავისი ნებით ზუგდიდის საპყრობილედან გაქცეულნი მიხეილ ბერულავა, უშანგი ხეჩუაია და მელიტონ თოდრია.

### შუამდგომლობა გამომძიებლის დანიშვნის შესახებ.

სიღნაღის სამაზრო ერობის გამგეობამ, თანახმად ალაზან გაღმა თემთა თვითმართველობის და მაზრის თემთა წარმომადგენლების ყრილობის დადგენილებისა, შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა ლაგოდეხის უბნის გამომძიებელს რეზიდენცია ჰქონდეს უეჭველად დაბა ლაგოდეხში და არა სიღნაღში, სადაც ამ ჟამად იმყოფება. ამასთანავე ერობის გამგეობა შუამდგომლობს, რომ დაინიშნოს ლაგოდეხის უბნის გამომძიებლათ სახელმწიფო ენის მცოდნე პირი და ამ ჟამად ამ რაიონში მყოფი გამომძიებელი ბაგდასარიანი—კი სრულიად დათხოვნილი იქნას სამსახურიდან, როგორც სრულიად შეუფერებელი თავის თანამდებობისა.

## მიწად-მოქმ. სამინისტროში

### ერობის შემოსავლის გადიდებისთვის.

მიწათ-მოქმედების სამინისტრომ შემდეგი მოხსენება და დეკრეტის პროექტი წარუდგინა მთავრობას:

„ერობის ახალი საბიუჯეტო უფლებები ჯერ კიდევ შეუმუშავებელია; ძველი რუსეთის ერობების ერის მნიშვნელოვან შემოსავლის წყაროს შეადგენდა სახაზინო მიწების, ტყეების და სათევზაობებიდან გადადებული განსაზღვრული წილი სათანადო ერობების სასარგებლოთ. ამიერ კავკასიის საერობო შემოსავლის გასავალშიც იყო შეტანილი ამ გვარი შემოსავალი. თანახმათ საერობო წესდების 345 მუხ. 2 და 3 ნაწილის საერობო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ ამიერ-კავკასიაში დაინიშნა შემოსავალი იმ მიწების და ტყეების და სათევზაოების, რომელნიც იყვნენ ხაზინის პირდაპირ განკარგულებაში.

რუსეთის სახელმწიფო დუმის 3 მაისის 1902 წლის და 4 ივნისის 1915 წლის კანონებით შემოიღეს წესი, რომლის ძალითაც ერობებს უნდა მიეცეს 7% ზემოაღნიშნულ მიწის, ტყის და სათევზოს საერთო შემოსავლისა; ერობები საქართველოში თავის აუცილებლივ მოთხოვნილებათა საჭიროების დასაკმაყოფილებლათ საჭიროებენ აუცილებლივ ხაზინის დახმარებას; 27 თებერვალს 1919 წ. მთავრობის დადგენილებით გაუქმებულ იქმნა ინსტიტუტი სახელმწიფო მიწების და საიჯარო მამულის ზედამხედველობის და ეს ფუნქციება დაევალა სათანადო ერობის საადგილ-მამულო განყოფილებას; ერობებისათვის ეს საქმე ახალი იყო; ერობები არ იყვნენ საკმარისად გაცნობილი არც თავის მოვალეობასთან და არც თავის უფლებებთან და ამან გამოიწვია ბევრი გაუგებრობა ერობების და სამინისტროს ორგანოების შორის.

ზოგიერთი ერობები საფონდო მიწების შემოსავლის ნაწილს ხმარობდენ თავის საჭიროებისათვის. ზოგმა ერობებმა დააწესა ადგილობრივ ზედმეტი გადასახადი, და ამ ზედმეტ გადასახადს ხმარობდენ ერობათა საჭიროების სასარგებლოთ; ერობები მოითხოვდენ საძოვრების მთელი შემოსავალი შეტანილი ყოფილიყო ერობის კასაში და არა ხაზინაში.

ზოგიერთ ერობებშა გარდა საძოვრებზე არსებულ ხაზინის სასარგებლოთ გადასახადებისა დააწესეს ერობების სასარგებლოთ კერძო პირთაგან 20% და სოფლის საზოგადოებებიდან 18%; ზოგიერთები მოითხოვენ ყოველი შემოსავალი საფონდო მიწებისა ჩარიცხულ იქმნას სავსებით ერობის კასაში ვიდრე ერობის მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდებოდეს. აგრეთვე ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ თუ მრავალი ერობები საფონდო მიწებისაგან შემოსავალს ღებულობს, მაგრამ სამინისტროში ანგარიშებს არ ადგენენ, აუცილებლივ საჭიროა ასეთ მდგომარეობას ბოლო მოეღოს და ერობების უფლება გამორკვეულ იქმნას.

მეორე მხრით აგრეთვე საჭირო არის, მიღებულ იქმნას ზომები სახელმწიფო მიწების შემოსავლის შეძლების და გვარათ გადიდებისათვის. ეს კი შეიძლება მხოლოდ ადგილობრივ ერობათა დახმარებით; თუ ეს დახმარება არ იქნა, შეუძლებელი იქნება განხორციელება სამინისტროს ამა თუ იმ განკარგულების სახელმწიფო საფონდო მამულების ექსპლოატაციის შესახებ.

ერობები თვით უნდა იყოს დაინტერესებული სახელმწიფო შემოსავლის გადიდებაში. ვინაიდან ერობები თანახმათ არსებული კანონმდებლობისა არის არა მარტო თვითმმართველობის ორგანო, არამედ ადგილობრივ მმართველობის ორგანოც, რომ მათ დაკისრებული აქვთ ბევრი ისეთი მოვალეობანი, რომელნიც წინეთ სახელმწიფოს დაწესებულების მოვალეობას შეადგენდა. საჭირო არის სახელმწიფო საფონდო ან საიჯარო მიწების შემოსავლიდან გადადებულ იქმნას ერობათა სასარგებლოთ სათანადო %; ერობების დახმარებით ასეთ მიწების შემოსავალი გაორკეცდება და მიუხედავათ ერობათა სასარგებლო % გადადებისა სახელმწიფოს შემოსავალი მეტი იქნება ვიდრე ეხლა არის. ამის გამო მიწათ-მოქმედების სამინისტრო საჭიროთ სცნობს გამოცემულ იქმნას სასწრაფოთ შემდეგი დეკრეტი:

1. ერობათა ახალ საბიუჯეტო უფლების შემუშავებამდე მიწათ-მოქმედების სამინისტროს საიჯარო განყოფილებაში ყოველ წლიურ შემოსულ საერთო შემოსავლიდან, რომელიც ნამდვილად შეტანილ იქნება სახელმწიფო ხაზინაში, სათანადო ერობის სასარგებლოთ გადარიცხულ იქნეს 20 პროც. 1) ყოფილ სახაზინო მიწებიდან და საიჯარო მამულებიდან; 2) სახელმწიფო საფონდო მიწებიდან და 3) საზაფხულო და სამაზრო საძოვარიდან.

**შენიშვნა**: იმ შემოსავლიდან, რომელიც შემოტანილი იქნება პირნახულით ერობებს მიეცემა პირნახულის სათანადო პროცენტი.

2. პირველ მუხლის ძალით გადარიცხულ შემოთანხით, გარდა საძოვარ ადგილების სავლისა, რომელსაც აქვს სპეციალური ქვემოდ აღნიშნული დანიშნულება ერობებს უფლება აქვს ისარგებლოს საერთო საერობო საჭიროებისათვის; საძოვარ ადგილების შემოსავალი უნდა მოხმარდეს საქონლის ავადმყოფობასთან ბრძოლას, საბეითალო დახმარებას, საქონლის მიმოსვლისათვის გზების გაუმჯობესებას, ხიდების შეკეთებას და სხვა საქონლის მეურნეობასთან დაკავშირებულ საჭიროებას.

3. 1 მუხლის ძალით ერობათა სასარგებლოთ გადასარიცხავი თანხა ყოველ წლიურად შეტანილ უნდა იქნეს მიწათ-მოქმედების სამინისტროს საიჯარო განყოფილების ხარჯთ-აღრიცხვაში.

4. საბიუჯეტო წლის დამთავრების არა უგვიანეს ორი თვისა მიწათ-მოქმედების სამინისტრო ვალდებულია ყოველ სამაზრო ერობისათვის ცალკე აღრიცხვა შეადგინოს და გაუსწოროს მათ ანგარიში.

5. მიწათ-მოქმედების მინისტრს უფლება ეძლევა, თანახმად ერობათა შუამდგომლობისა, სასწრაფო საჭიროებისათვის ხარჯთ-აღრიცხვის ფარგლებში ავანსის სახით გასცეს 50 პროცენტამდის § 1 მუხლის ძალით ნავარაუდევ თანხისა.

## სახალხო განათლების სამინისტროში

### ახალი ტერმინოლოგია.

უკანასკნელ ხანებში ზოგიერთმა საზოგადოებამ (მაგ., ტეხნიკურმა) და კერძო პირებმა თავიანთი ტეხნიკური ლექსიკონები ანუ ეგრეთ წოდებული „სიტყვარები“ დაბეჭდეს, სადაც ყველა საერთო ევროპიული სამეცნიერო ტერმინები გადმოქართულებულია. თუმცა ამ ლექსიკონების ავტორთ თითონაც სურდათ მათ მიერ შეთხზულ ტერმინების ხმარებაში შემოღებამდე ეს ტერმინოლოგია წინასწარ მცოდნე პირებს ანდა დაწესებულებებს განეხილათ და ღირსება-ნაკლულოვანების მხრივაც შეეფასებინათ, მაგრამ ამისდა მიუხედავად, როგორც სჩანს ზოგიერთს სახელმწიფოს და საზოგადოებრივ დაწესებულებას მიწერ-მოწერაში უკვე შემოსულია ეს ახლად შეთხზული ტერმინები.

ამის გამო სახალხო განათლების სამინისტროსთან არსებულმა სასწავლო კომიტეტმა შუამდგომლობით მიმართა განათლების სამინისტროს, რომ უკანასკნელმა კომიტეტის სახელით სთხოვოს ყველა კერძო პირს და განსაკუთრებით დაწესებულებას ჯერ-ჯერობით, ვიდრე სასწავლო კომიტეტი შეიმუშავებს და მოიწონებდეს საერთო სავალდებულო სამეცნიერო ტერმინოლოგიას, რაც მას სხვათა შორის აქვს მინდობილი, მოერიდნენ „სიტყვარების“ ახალ ტერმინებს და დროებით იხმარონ იგივე სიტყვები—ტერმინები, რომელნიც ქართულს მწერლობაშია ამ ჟამად მიღებული და გავრცელებული.

### მოსკოვის სამხატვრო თეატრის დასი ქ. ტფილისში.

განათლების სამინისტროს ცნობით, ქალ. ფოთში ამ ჟამად რუსეთიდან ჩამოსულა მოსკოვის სამხატვრო თეატრის დასი მსახიობ კაჩალოვის მეთაურობით და, თუმცა სურვილი აქვთ ჩვენს რესპუბლიკაში დაბინავებისა, სახსარი არ მოეპოვებათ ქალ. ტფილისში ჩამოსვლისათვის. ამის გამო განათლების სამინისტროს კანცელარიის დირექტორმა—ვუკ. ბერიძემ განათლების მინისტრის ამხანაგს დაავალა რესპუბლიკის რკინის გზათა საექსპლოატაციო ნაწილის უფროს განკარგულების მოხდენა, რათა ქ. ფოთში მსახიობს კაჩალოვს თავის დასის (37 კაცის) ქალ. ტფილისში გადმოსაყვანად დაუთმოს ერთი ვაგონი მეორე კლასისა.

### სტუდენტების თხოვნა.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირმა შუამდგომლობა აღძრა განათლების სამინისტროს წინაშე, რათა მათ ნივთიერ ხელმოკლეობის გამო ნება დაერთოთ საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზებზე შეღავათიან ტარიფით იმოგზაურონ. განათლების სამინისტრომ ასეთ შუამდგომლობის შეწყნარება შეუძლებლად სცნო.

### სამინისტროს განცხადება.

1919 წლის 16 დეკემბერს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კანონი მთავრობაში ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა წარდგენის შესახებ, რომლის ძალით რესპუბლიკის ყველა მესტამბე ან სხვა რომელიმე სამბეჭდველოს პატრონი ან მოიჯარადრე მოვალეა განათლების სამინისტროს წარუდგინოს 12 ცალი საუკესოდ გამოცემულ ნაწარმოებისა, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს 2 ცალი.

განათლების სამინისტრომ კანონის გამოცემისთანავე ხელწერილი ჩამოართვა ტფილისის ყველა მესტამბეს, რომ ამ კანონს პირნათლად და სავსებით შეასრულებენ. მიუხედავად ამისა ბევრი მათგანი დღემდე ან სრულებით არ ადგენს ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთ (წიგნებს, ჟურნალებს, გაზეთებს, რუქებს, კალენდრებს, სურათებს და სხვათ) ან თუ ადგენს დიდი დაგვიანებით, თუმცა კანონის ძალით ისინი მოვალენი არიან გამოცემისათანავე წარმოადგინონ.

ამის გამო სამინისტრომ საჭიროდ სცნო უკანასკნელად გააფრთხილოს მესტამბეები სასტიკად და სავსებით დაიცვან 16 დეკემბრის კანონი, წინააღმდეგ შემთხვევაში კანონის დამრღვევი 3,000 მანეთით იქნება დაჯარიმებული ანდა სამი თვით ციხე მიესაჯება.

## დამფუძნებელი კრება

### 26 მარტის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

**ივ. გომართელის** მოხსენებით მიიღეს საბოლოო ტექსტები: დეკრეტისა რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის, ფოსტის და ტელეფონის ადგილობრივი დაწესებულებათა შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ; დეკრეტი ფოსტა-ტელეგრაფის ნიხრის გადიდების შესახებ.

**ი. ხაღაჟაია** მოახსენებს დეკრეტს ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის სამმართველოს გაუქმებისა და საქართველოს რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველოს დაარსების შესახებ. დეკრეტი სოც.-დემ. ფრაქციის შესწორებებით უკამათოდ იქნა მიღებული.

**ივ. გომართელი** მოახსენებს კრებას დეკრეტს მიგდებულ ბავშვთა თავშესაფარის დაარსების შესახებ. მომხსენებელი აღნიშნავს,

რომ დღემდე არსებული ოლღას ინსტიტუტთან მიგდებულ ბავშვთა თავშესაფარი არ იდვა სათანადო სიმაღლეზე. შინაგან საქმეთა სამინისტრო თანახმად ამ დეკრეტისა დაარსებს მიგდებულ ბავშვთათვის ცალკე თავშესაფარს, რომლისათვისაც საჭიროა ორი ექიმი, ფერშლები, ძიძები, მომვლელები და სხვა. წარმოდგენილი დეკრეტი ხარჯთ-აღრიცხვით უკამათოდ მიიღეს.

**ვ. ცაბაძე** მოახსენებს კრებას დეკრეტს გაზ. „საქარ. რესპუბლიკის“ სავალდებულო განცხადებისათვის დაწესებულ ფასის გადიდების შესახებ. თანახმად ამ დეკრეტისა მთავრობას ეძლევა უფლება შეიმუშაოს ახალი ნიხრი სავალდებულო განცხადებისათვის და საჭიროებისამებრ შესცვალოს ეს ფასები.

**ნ. იმნაიშვილის** მოხსენებით მიღებულ იქმნა შემდეგი დეკრეტები: ბათუმის ქართულ გიმნაზიისათვის ერთდროულ დასახმარებლად 260,000 მან. გადადების; დეკრეტი საქონლის ჭირის საწინააღმდეგო შრატის დამამზ. სადგურისათვის ს. ტაბახმელაში მელიქიშვილის მამულის შესაძენად 1,06000 მ. გადადების შესახებ; დეკრეტი სახალხო სკოლის მასწავლებელთა ხუთწლეულის დასაკმაყოფილებლათ 4,193,333 მან. გადიდებისა; დეკრეტი პირველ დაწყებით სკოლების მასწავლებელთათვის მოკლე ვადიან კურსების დაარსების და საამისოდ 240000 მან. გადადებისა; მისივე მოხსენებით განიხილეს კანონპროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროს ვეტერინარ-სასანიტარო განყოფილების, სავეტერინარო პერსონალის და შრატის დამამზადებელი სადგურის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

**ქ. ნინიძეს** მოხსენებით უკამათოდ მიიღეს კანონ-პროექტები: სასჯელთა წესდების და სასჯელთა დებულების ტარიფის გადიდების შესახებ; მომრიგებელ სასამართლოს დაწესებულებათა ქვემდებარეობის გაფართოების შესახებ.

**ი. ხალაყაიას** მოხსენებით ზოგადად განხილულ იქნა კანონ-პროექტი ქუთაისში მე-2 ხარისხის საბაჟოს დაარსების შესახებ.

**ივ. გომართელის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ფოსტის გადაზიდვის ხარჯის დასაფარავად 4.034,304 მ. და 92 კ. გადადებისა; დეკრეტი საქალაქთაშორისო ტელეფონის ქსელის მოსაწყობად 9.786,000 მან. გადადებისა და იმავე საჭიროებისათვის 291,251 მან. და 40 კაპ. ღირებულ მასალის მიცემის შესახებ.

**გრ. გიორგაძეს** მოხსენებით ზოგადად განხილულ იქნა კანონ-პროექტი საპყრობილეთა შტატის და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ; მისივე მოხსენებით უკამათოდ მიიღეს დეკრეტი სამხედრო სასამართლოს და ბრალმდებლის ზედამხედველობის დროებითი შტატის და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა.

**გაგლოევის** მოხსენებით უკამათოდ იქნა მიღებული დეკრეტი გზათა უწყების მოსამსახურეთათვის დღიური სარჩოს ნორმების შეცვლისა.

**ვ. ცაბაძე** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტები: მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებაში სამეურნეო იარაღისა და მასალის შესაძენად 1.140,000 მან. გადადებისა. მისივე მოხსენებით მოხდა მეორე მუხლობრივი განხილვა კანონ-პროექტისა შრომის სამინისტროს შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ და კანონ-პროექტი გზათა დეპარტამენტის ცენტრალური ორგანოს შტატის გადიდების და ჯამაგირის ნაწილობრივ მომატების შესახებ.

**ნ. იმნაიშვილის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეის დაარსების შესახებ.

**ხალაყაიას** მოხსენებით მიღებულ იქნა კანონ-პროექტი შინაგან-საქმეთა სამინისტროს კანცელარიის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა.

**ელიგულაშვილის** მოხსენებით მიიღეს კანონ-პროექტი სახაზინო რკინის გზის ჭიათურის შტოზე განსაკუთრებულ ტარიფის მოსპობის შესახებ.

**მ. ტოროშელიძის** მოხსენებით მიიღეს დეკრეტი სვანეთის სამკურნალო დაწესებულებათა შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა.

**ქ. ნინიძეს** მოხსენებით მიიღეს დეკრეტი მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებაში 551,333 მან. გადადებისა აჭარის სარწყავი არხის შესაკეთებლად.

**სხდომა დაიხურა 3 საათსა და 35 წუთზე.**

# გარეშე საქმეთა მინისტრი ე. პ. გეგეჭკორი ბაქოში.

როგორც ვიცით ბაქოში გაემგზავრა ე. პ. გეგეჭკორი; გაზ. „აზერბეიჯანში“ ე. პ. გეგეჭკორის სურათთან ერთად მოთავსებულია შემდეგი წერილი: „გუშინ გვესტუმრა სასურველი სტუმარი—საქართველოს გარეშე საქ. მინისტრი. ნამდვილი მეგობარი გაჭირვების დროს იცნობა; და ეს გვაძლევს საბაბს გულწრფელად მივესალმოთ ჩვენი მეგობარ სახელმწიფოს მთავრობის ერთ-ერთს უმაღლეს წარმომადგენელს. დღეს, როცა ჩვენს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას ყოველ მხრივ ემუქრებიან, გვესმის თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ორ მეზობელ ერთა შორის მეგობრულ გრძნობას. ამიერ-კავკასიის ერებს მიტომ კი არ მოუშორებიათ თავიდან მონობის უღელი, რომ ხელ-ახლად დაიდგან ის კისერზე. ვინც ერთხელ იგემა თავისუფლების სიტკბოება, მას სიკვდილი ურჩევნია ყოფილ მონურ მდგომარეობაში ჩავარდნას. ამ საერთო საფრთხის დროს, რომელიც ემუქრება მთელ ამიერ-კავკასიას, ორი მეზობელი ერი არ დაქსაქსავენ თავის ძალებს ცალ-ცალკე გამოსვლით. მობრძანება ჩვენთან საქართველოს ხალხის გარეშე საქმეთა მინისტრისა ნათლად ამოწმებს, რომ ადერბეიჯანს და საქართველოს შეგნებული აქვთ ეს ჭეშმარიტება.

# გრაფ დე-მარტელის ჩამოსვლა.

გუშინ, დღის 11 საათზედ, ტფილისში ჩამოვიდა საფრანგეთის უმაღლესი კომისარი გრაფი დე-მარტელი. საფრანგეთის სამხედრო მისიის უფროსი კორბეილი, კონსული ნეტტემანი და დავალებათ ოფიცერი პეშკოვი სომხეთში, საფრანგეთის სამხედრო მისიის წარმომადგენელი პუადებარი და მათთან ერთად დასახვედრად გაგზავნილი საგარეო საქმეთა სამინისტროს კანცელარიის ვიცე-დირექტორი ი. ტატიშვილი და ლეიტენანტი ბალიკაშვილი. მათ შეხვდნენ საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი ქარცივაძე, სამხედრო მინისტრის ამხანაგი გედევანიშვილი, გენერალურ შტაბის უფროსი გენერალი ზაქარიაძე, საფრანგეთის სამხედრო მისიის უფროსი დენანკური, პრინცი მიურატი, ლეიტენანტი ჰიუგი, საფრანგეთის კონსული კავკაზში.

# ბათუმის გარშემო

**თავის მართლება.**

ადერბეიჯანელთა ნაციონალური საბჭოს თავმჯდომარე შემდეგს იტყობინება: „უკანასკნელ ხანებში, საქართველოს და ადერბეიჯანის ხალხთა მტრები პირადი ინტერესებისათვის ავრცელებენ სხვა და სხვა ხმებს პრესაში საქართველოს ხალხის და მის მთავრობის წინაშე მოკავშირე ადერბეიჯანის ხალხის და მისი მთავრობის წინაღმდეგ. ამბობენ, ვითომ ადერბეიჯანის აგენტები ჩეტნიკებს აიარაღებს საქართველოს წინაღმდეგ. ბათომში არსებული ადერბეიჯანის ნაციონალური საბჭოს სახელით პროტესტს ვაცხადებთ ამ ჭორიკანობის წინააღმდეგ, რომელიც მიმართულია ორი მეზობელი ხალხის წინაღმდეგ და ვფიქრობთ, რომ ამ ავანტურისტებს კარგათ იცნობს საქართველოს და ადერბეიჯანის საზოგადოებრივი აზრი.

ადერბეიჯანელთა ნაციონალური საბჭოს თავმჯდომარე **გათუმ ზადე.**

თავის მართლება, კარგი საქმეა, მაგრამ გაზ. „სამუსლმანო საქართველოს“ უკანასკნელ ნომერში იმოდენა ფაქტებია მოყვანილი ადერბეიჯანის აგენტების მოქმედების შესახებ ბათომში საქართველოს წინაღმდეგ, რომ არ შეგვიძლია ეჭვი არ შევიტანოთ ნაციონალურ საბჭოს განცხადების გულწრფელობასა და სიმართლეში...

**რაშია საქმე, რატომ არ ამტკიცებენ არჩევნებს?**

ბათუმის ქალაქის არჩევნები ჯერაც არ დაუმტკიცებიათ; ამის გამო გაზ. „სამუსლიმანო საქარართველო“ სხვათა შორის შემდეგს სწერს:

როგორც საარჩევნო კომისია, ისე ამრჩევლები ფიქრობენ, რომ ქალაქ ბათუმს 29 თებერვლის შემდეგ ელირსება მცხოვრებთა მიერ არჩეული საბჭო, ელირსება საბჭოს მიერ არჩეული გამგეობა.

მარა, არჩევნების შემდეგ თითქმის ერთი თვე გავიდა და ბ-ნ სამხედრო გუბერნატორს ჯერაც არ დაუმტკიცებია არჩევნები.

# გაზ. „საქართველოს რესპუბლიკას“ კანტორა აცხადებს,

რომ მიმდინარე წლის **1 აპრილიდან** გაზეთი ეღირება თვიურად **70 მანეთი.** ცალკე ნომერი ყველგან 3 მანეთი. **განცხადების ფასი:** პეტიტის სტრიქონი ტექსტის წინ 4 მან. ტექსტის შემდეგ—3 მ. 50 კ. სამგლოვიარო. განცხადება ჩვეულებრივი ზომის 140 მან. ნისია განცხადებებზე გადახდება ნიხრზე მეტი 20 პროცენტი. ვისაც გაზეთი უკვე გამოწერილი აქვთ უნდა გადაიხადონ 1 აპრილიდან დამატებითი ფასი.

საარჩევნო კანონი თვით ბ-ნ გუბერნატორმა დაამტკიცა. არჩევნებს ხელმძღვანელობდა თვით ბ-ნ სამხედრო გუბერნატორის მიერ დანიშნული პირი. არჩევნები კანონიერათ სცნო თვით ბ-ნ სამხედრო გუბერნატორის მიერ მოწვეულმა კომისიამ, რომლის თავმჯდომარე იყო ინგლისის საოკუპაციო ჯარის ოფიცერი ბ-ნი ნორმანი.

მაშ რაშია საქმე? რატომ არ ამტკიცებენ არჩევნებს? ჩვენ ვიცით, რომ დენიკინელი რუსები ვერ დარჩენ კმაყოფილნი არჩევნების შედეგით. ჩვენ ვიცით, რომ აქაურ რუს შავ-რაზმელთა გაზეთმა „ნაშ კრაიმ“ გაილაშქრა არჩევნების შედეგის წინააღმდეგ და თავის წერილის სტრიქონებს შუა მოითხოვა, რომ არჩევნები არ დაემტკიცებინათ.

თუ მიტომ არ ამტკიცებენ არჩევნებს, რომ მართლაც ყურადიღეს შავრაზმელების მოთხნვა?

ჩვენ ვიცით, რომ არჩევნებზე ბრწყინვალეთ გაიმარჯვა ქართველთა საარჩევნო სიამ. 36 ხმოსანში ქართველებმა 20 ხმოსანი გაიყვანეს. ამით ამრჩევლებმა ქვეყანას დაუმტკიცეს, რომ ბათუმი ქართული ქალაქია; დაუმტკიცეს, რომ ბათუმი საქართველოს განუყოფელი ნაწილია.

და ჩვენ ვეკითხებით ვისაც ჯერ არს:

ნუ თუ ეს არის მიზეზი არჩევნების დაუმტკიცებლობისა?

ქალაქში ყველა დარწმუნებულია, რომ სწორედ ეს არის მიზეზი, რომ არჩევნები ჯერაც დაუმტკიცებელია.

# მდგომარეობა კავკავში

როგორც კავკავიდან ჩამოსულნი გადმოგვცემენ კავკავში ამ ჟამათ ხელ ჩართული ბრძოლაა გამართული დარჩენილ ოფიცერთა და ინგუშების რაზმების შორის. ბრძოლა სწარმოებს ტყვიის-მფრქვევლებით და საშინელ პანიკას იწვევს მცხოვრებთა შორის. ორივე მხარეს დიდი ზარალი აქვთ. ოფიცერთა რაზმებმა თერგის მხარეს დაიხია. ამის გარდა მდგომარეობა საერთოდ კავკავში გართულებულია. ქალაქის ერთ მხარეში მოსჩანს ცეცხლი, მაგრამ რომელი ადგილი იწვის ჯერ არ იციან. დიდი ძარცვა-გლეჯაა გაჩშირებული კავკავში და მთელ თერგის ოლქში, დღე ისე არ გავა, რომ არ დაეცნენ ან სახლს, ან საწყობების სარდაფებს და აუარებელი საქონელი—სპილენძი თუ სურსათი არ გაიტაცონ. დარბევა და თავდასხმა, ყოველივე ეს ხდება როგორც ღამით, ისე დღისით.

# მიწის ძვრის გარშემო.

მთავარ ბიუროს მიერ მიღებული შემოწირულება.

ბიულეტენი № 6.

მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ მთავარ ბიუროში შემოიტანა: სამნეო კომიტეტის თავმჯდომარემ ალექსანდრე აბაშიძემ 25.400 მ., სანთლის ქარხანიდან 1.000 მ., „საეროს“ საზოგადოებისაგან 200 ბოთლი ღვინო, რკინის გზის საავათმყოფოდან 748 მ., საბურთალოს მუშათა კლუბიდან 10.052 მ., ექიმმა ხოჯაპარუხოვმა 1.000 მ., მეოთხე რაიონმა 7.826 მ., რუსთაველის მესამე საქალაქო სკოლამ 10.382 მ., ორი უცნობი 230 (150—80) მან., ღვინო-გასტრონომიულ და ბაკალეით მოვაჭრეთა კავშირმა 4.980 მ., არჩილ რუხაძემ მის მიერ შეგროვილი 20.000 მ., ნ. ქართველიშვილმა რუსთაველის სახელობის მესამე სკოლის მოწაფეთა შორის შეგროვილი 1.038 მ., „საქართველოს რესპუბლიკიდგან“ შეგროვილი 3.000 მ., მღებავთა ცეხმა 250 მ., ბ. ჩხიკვიშვილის მიერ შეგროვილი 25.000 მ., სულ წინათ შემოსულით 2.404.975 მ. 55 კ.

**გაზ. „საქ. რესპუბლიკის“ კანტორაში.**

ჩვენი რედაქციის კანტორამ მიიღო 500 მ. დაბა ლაილაშის ფოსტის განყ. უფროსის ბ-ნ ქარცივაძისაგან ფოსტის მოსამსახურეთა შორის შეგროვილი.

**ა. აბაშიძეს ჯერ არ შეუწირავს.**

დაზარალებულთა დამხმარე მთავარი ბიურო აცხადებს:

ამას წინათ გაზეთებში იყო გამოქვეყნებული და ხალხშიც ასეთივე ხმებია გავრცელებული, რომ ამერიკიდან ჩამოსულმა ვინმე აბაშიძემ შესწირა მიწის ძვრისაგან დაზარალებულებს რამოდენიმე მილიონი მანეთი.

შემოწირულებებს ღებულობს მთავარი ბიურო, რომელსაც ჯერ ბ-ნ აბაშიძისაგან არავითარი შემოწირულება არ მიუღია.

ვსთხოვთ ბ-ნ აბაშიძეს, თუ არსებობს ასეთი, პრესაში და ხალხში გამოცხადებული ცნობები გაამართლოს.

# დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტოსაგან)

**ბერლინი**, 24 მარ. მთელ რურის ოლქში, რომელიც მუშათა ხელშია, სრული წესრიგი მეფობს. ნახშირის დამუშავება უკვე განახლებულია.

**ბერლინი**, 24 მარტი. ელჩითა საბჭომ დაადგინა მიმართონ ებერტის მთავრობას წინადადებით. რათა მან სპარტაკელებთან მოკავშირეთა მიერ მისაღები შეთანხმება მოახდინოს. თუ ებერტის მთავრობამ ვერ შესძლო ასეთი შეთანხმების მიღწევა, მაშინ მას უფლებას მისცემენ, რურის ოლქში სპარტაკელების საწინააღმდეგოთ გაგზავნოს საჭირო რიცხვი ჯარისა. თუ მთავრობის ჯარი დამარცხდა, მაშინ გენერალ ფოშს წინადადებას მისცემენ მოკავშირეთა ჯარით შეუტიოს, რათა აიძულოს გერმანია ხელშეკრულობის ის პირობა აღასრულოს, რომელიც რურის ოლქიდან ნახშირის გამოტანას ეხება. რურის დასაჭერათ გერმანიის მთავრობას დაახლოებით დასჭირდება 100000 ჯარის-კაცი. ამგვარად, ამ ციფრს თუ მოუმატებთ რევოლიუციასთან საბრძოლველად საჭირო ჯარის რიცხვს, გერმანიის არმიის საერთო რაოდენობა ხელშეკრულობის ძალით ნებადართულ 200000 კაცს გადააჭარბებს.

**ბერლინი**, 23 მარ. გამოქვეყნებულ მანიფესტში ებერტი სწერს: „ლიუტვიცი და კაპპი მართვა გამგეობასთან განშორებულ იქმნენ. სამეურნეო ცხოვრება, კვლავ აღდგენილი უნდა იქნეს. ამისთვის საჭიროა, მუშებმა უარი განაცხადონ საერთო გაფიცვებზე. ქვეყნისათვის მთავარი საჭიროება ეს ნახშირის დამუშავებაა. მთავრობამ მთელი ძალით ხელი უნდა შეუწყოს მუშაობის განახლებას. ჩმას თავის წმინდა მოვალეობათ მიაჩნია სასტიკათ დასაჯოს ხალხის მოღალატეები, რომელთაც გამოიწვიეს საერთო გაფიცვები. რეიხკანცლერის მოადგილემ, შიფფერმაც გამოაქვეყნა მანიფესტი გერმანიის ხალხის მიმართ, რომელშიც ნათქვამია: „აჯანყება ჩაქრობილია, ქვეყნის მეურნეობა კვლავ საგრძნობლად დაზარალდა. მთვრობა მოუწოდებს გერმანიის ხალხს მუშაობის გასანახლებლად.

**ბერლინი**, 24 მარ. გაზეთების ცნობით თებერვლის დასასრულს ბალტიის რკინის დივიზიაში ითვლებოდა 8 ათას გერმანელზე მეტი და 15 ათასი რუსი. ბერმონტ-ავალოვის ჯარიც 15 ათასი კაცისაგან შესდგებოდა, რომლის ნაწილი ბერლინის კონტრევოლიუციას იცავდა. გაზ. „სვაბოდა როსიას“ ცნობით ბუქარესტში აღმოაჩინეს უნგრელთა ახალი შეთქმულება. დაპატიმრებულია 11 მაღიარი, რომელიც საბჭოთა მთავრობის სასარგებლოთ აგიტაციას ეწეოდა. აღმოაჩინეს იარაღი და პროკლამაციები.

უკანასკნელი ოფიციალური ცნობების მიხედვით დაჭერილია მაიკოპი და გროზნო ცნობილი ნავთის სამრეწველოები. ნოვოროსისკის ჩრდილო-დასავლეთით 20 ვერსზე აღებულია სადგური ნატიეხარიცკაია. სამხედრო ცნობა. 26 დასავლეთით ფრონტი ოვრუჩ—კოროსტენის რაიონში კოროსტენი—სარნის რკინის გზასთან ჩვენ მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ლეტიჩევის ჩრდილოეთით 25 ვერსზე სასტიკი ბრძოლა სწარმოებს. პოდოლიის კამენეცის რაიონში ქვ. უშიცას ხელში ჩასაგდებათ ბრძოლაა. სამხრეთის ფრონ-

ტი პერეკოპის ჩრდილოეთით მტრის თვალსაჩინო ძალებთან ჩვენს ჯარს ბრძოლა აქვს. კავკასიის ფრონტი. ჩვენი ჯარი ნოვოროსისკს უტევს. ეკატერინოდარის რაიონში ჩვენი ჯარი სდგ. კრიმსკაიას უახლოვდება.

### ინგლისური პრესა.

(ბასრუდან)

სამხრეთ უელსის ნახშირის მრეწველებმა განაცხადეს: მუშათა მოთხოვნილება, რომ 3 შილინგით იქნეს გადიდებული მათი ხელფასი, ნიშნავს ნახშირის სამრეწველოებიდან დამქირავებლების შემოსავლის კონფისკაციას.

ბუქარესტიდან იუწყებიან: რუმინიის კრიზისი გამოიწვია შემამულეთა ოპოზიციამ იმ კანონის წინააღმდეგ, რომელიც ყოველ გლეხს საშუალებას აძლევს თავისი მიწა საკუთრებით აიღოს, რაშიაც ბალშევიზმის ნამდვილ საწინააღმდეგო საშუალებას ხედავენ.

### ფრანგული პრესა.

საზოგადო საქმეთა მინისტრი ტროკე და სასურსათო მინისტრის ამხანაგი ტუმირი ლოიდ ჯორჯმა ძლიერ კარგად მიიღო. ინგლისი, სთქვა მან, აძლევს რა საფრანგეთს 18 მილიონ ტონ ნახშირს, იძლევა 60% იმ რიცხვისას, რომელიც მას (გამოტოვებულია) ნახშირის ფასი განსაზღვრულია ტონზე 75 შილინგი.

საფრანგეთის პრესის აზრით, ნებართვა, რომელსაც ბაუერის კაბინეთი თხოულობდა რურის ოლქში 60,000 ჯარისკაცის შესაყვანათ, გერმანიის მთავრობას არ მიეცემა. საფრანგეთი, ინგლისის თხოვნით, მართლაც დასთანხმდა ამ ნებართვის განხილვაზე, მაგრამ იმ პირობით, კი რომ საფრანგეთი ფორმალურ გარანტიას მიიღებდა ნეიტრალურ ზონიდან გერმანიის ჯარის ევაკუაციის შესახებ. როდესაც ოლქში მშვიდობიანობა აღდგენილი იქნება ეს გარანტია შეიცავდა გერმანიის სხვა რომელიმე პუნქტის ოკუპაციას. ინგლისელებმა არ მიიღეს ეს პირობა, როგორც მომენტის შეუფერებელი. ამგვარად უარყოფილია გერმანელთა თხოვნაც.

## სახალხო უნივერსიტეტის მოწოდება.

ყოველი ინტელიგენტის და კულტურულად განვითარებული ადამიანის მიზანს და მოვალეობას უნდა შეადგენდეს თავისი სამშობლოს ფართე მასაში განათლების შეტანა. არც ერთი ინტელიგენტი არ არის თავისუფალი ამ მოვალეობისაგან, სანამ თავის თავს დემოკრატიის მეგობრად და სამშობლოს ერთგულ შვილად სახავს. ამიტომაც ყოველმა ასეთმა პიროვნებამ მთელი თავისი ძალღონე უნდა შესწიროს ხალხს, უნდა შესწიროს დემოკრატიას და ამით თავისი მშობელი ერის კულტურულ აყვავებას ხელი შეუწყოს.

სამწუხაროდ ტფილისის ინტელიგენცია თითქოს ვერა გრძნოს თავის მოვალეობას და მცირეოდენად ებმება ტფილისის პროლეტარულ საკულტურო-საგანმანათლებლო ორგანიზაციათა მუშაობაში.

ერთ ერთი ასეთი და უდიდესი მნიშვნელობის მქონე ორგანიზაცია არის სახალხო უნივერსიტეტი, რომლის გარშემო შემოყრილი ჯგუფი დაუღალავად ეწევა კულტურულ მუშაობას ტფილისის დემოკრატიაში. მაგრამ ბოლო ხანებში სახალხო უნივერსიტეტის მუშაობამ იმატა და განვითარდა. წინანდელი ჯგუფი მუშაობას ვეღარ სწვდება. საჭიროა ახალი ძალებიც. საჭიროა ლექტორების ახალი ტალღა და სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა მიმართავს ყველას ვინც-კი თავის თავს ლექციების საკითხავათ მომზადებულათ სთვლის, დაუყონებლივ ჩაებას მუშაობაში და დემოკრატიის წინაშე თავისი მოვალეობა მოიხადოს.

არავის არა აქვს უფლება უყურადღებოთ დასტოვოს ეს მოწოდება, თუ კი ძალა შესწევს. ყოველი მომზადებული და საჭირო უნარის მქონე მოვალეა გამოცხადდეს და საერთო მუშაობაში თავისი წვლილი შეიტანოს.

შრომისათვის ყოველი ლექტორი გასამჯელოს მიიღებს. ჩაწერა და პირობების გაგება შეიძლება:

1) დამფუძნებელი კრების ქვესტორთან— სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის თავმჯდომარე სერ. ქორქოლიანთან ყოველ დღე 3 საათამდე და 2) სახალხო უნივერსიტეტის გამგე ი. ანთაძესთან (პლეხანოვის პრ. №123, უნივერსიტეტის სამმართველო), 12—2 ს. განყოფილებების წარმომადგენელთა საერთო კრება მოხდება კვირას, 4 აპრილს, დილის 11 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის სამმართველოში (პლეხანოვის პროს. № 123).

## ქალაქთა კავშირში

ქალაქთა გამგეობებს ქალაქთა კავშირის მთავარმა კომიტეტმა შემდეგი სასწრაფო ცირკულიარი გაუგზავნა:

„ამა წლის თებერვლის 17-ს მთავარმა კომიტეტმა გამოგიგზავნათ ცნობა მთავარი მუნიციპალურ ბანკის გახსნის შესახებ და მასთან ერთად საანკეტო ფურცელი, რომელიც სასწრაფოდ უნდა შეგევსოთ სათანადო ცნობებით ქალაქის ქონების რაოდენობისა და მისი ფასისა, ქალაქის შემოსავალ-გასავალისა და სხ. შესახებ. ეს ცნობები, მიუხედავათ მათში დიდი საჭიროებისა, დღემდე გამოგზავნეს მხოლოდ შემდეგმა ქალაქებმა: კოჯორმა, გუდაუთამ, ლანჩხუთმა, ხილნალმა და ოზურგეთმა. რესპუბლიკის დანარჩენ ქალაქების მიერ ამ ცნობების გამოუგზავნელობა ხელს უშლის მთავარი კომიტეტის აღმასრულებელ ბიუროს გააკეთოს ისეთი საქმეები, რომელთაც ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს თვით ქალაქებისათვის. ამიტომ, თუ ხსენებული ცნობები ფრიად სასწრაფოდ არ იქნა გამოგზავნილი თქვენ მიერ, აღმასრულებელი ბიურო ყოველ პასუხის მგებლობის გარეშე იგულებს თავს ამ საქმის შესახებ.

## ყარაბახში.

როგორც გაზეთი „აზერბეიჯანი“ იტყობინება მარტის 22-ს, 23-ს სომეხთა შეიარაღებული ძალები ვერაგულად დასცემიან შუშას, ხანკონდის, ასკერანს და სხვა ქალაქებს. ასკარანში სომეხთა შეიარაღებული ძალები დასცემიან მძინარე ასკერთა რაზმს რიცხვით 50 კაცს და დაურბევიათ. უმრავლესობა წაიყვანეს ტყვედ. აზერბაიჯანის მთავრობის მიერ მიღებულია ზომები ამ გამოსვლის მოგვარებისთვის მშვიდობიანი გზით. უკანასკნელ მიღებულ ცნობებიდან კი სჩანს, რომ ყარაბახში თავი მოუყრია დიდ სამხედრო ძალას. გენერალ-გუბერნატორს ხ. ბ. სულთანოვს სომეხთა მცხოვრებლებისთვის მოუთხოვია იარაღის ჩამორთმევა და ასკერებს საშუალება მისცემიათ თავს დასხმოდნენ სომეხთა მშვიდობიან მცხოვრებლებს. სომეხთა მოსახლეობა აწიოკებულია. ჰქონდა შემთხვევა იმასაც რომ ქალები გაუპატიურებიანათ და შეურაცჰყოთ. შუშიდან თითქმის მთელი სომხობა გაიქცა და ახლო-მახლო მდებარე სოფლებს შეაფარა თავი. ყარაბახში პანიკაა გამეფებული. შიშობენ, რომ კიდევ არ განმეორდეს ის ამბები, რაც ამას წინად მოხდა ნუხაში, არეშში და გეოკჩაიში.

## პროვინცია.

**სოფ. ზნაკვა (რაჭის მაზრა).**

სოფ. ზნაკვა მდებარეობს დაბა ონიდან 30 ვერსის მანძილზე. კულტურულად ეს სოფელი ჩამორჩენილია. არ არსებობს არც სამკითხველო და არც სხვა რომელიმე კულტურული დაწესებულება. არსებობს ერთად-ერთი კოოპერატივი, მაგრამ მისი არსებობა გამოიხატება მხოლოთ იმაში, რომ ერთ შენობას ჰქვიან კოოპერატივი „გლეხის იმედი“ მორჩა და გათავდა. ოთხი წელიწადია რაც ეს კოოპერატივი არსებობს, მაგრამ მისგან იმედი და დახმარება არავის უნახავს. მიზეზი ამისა ის არის, რომ ხალხმა შეუგნებლობით ჩარჩ-ნოქრებს მიანდვეს მისი წარმოება და მათაც თავის ჯიბის სასარგებლოთ მეტი მზრუნველობა გამოიჩინეს ვინემ კოოპერატივის ნაყოფიერ მუშაობისათვის.

სამწუხარო ის არის, რომ ამ სოფელში ცოტა მოიპოვება ინტელიგენტური ძალები და რაც არის მათაც ხალხი უნდობლობის თვალით უყურებს.

სამწუხაროდ გლეხებიდან ხშირად გაიგონებთ: „ნასწავლი მუშის მტერი იყო და იქნება“. საჭიროა ამ სოფელში მეტი კულტურული მუშაობა, გლეხების გამოფხიზლება. ძველი გზით სიარული აღარ გვარგია. დრო რთულია, და ჩვენც შეგნებულათ უნდა უპასუხოთ მომენტს.

ვლ. ბაკურაძე.

## განცხადებანი

ზაქარია იაკობის ძე კორგანოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 5 სექტემბერს 1892 წ. რეესტრით № 1207. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 397 3—3

თელავის ელექტრო-მექანიკური ამხანაგობა „ენერგია“ აცხადებს რომ ვარლამ გედევანის ძე ფერაძე ზემოთ აღნიშნულ ამხანაგობის წევრათ აღარ იმყოფება. 577 3—1

სილიბისტრო სამონის ძე ჰელიძე აცხადებს რომ მან დაჰკარგა ქუთ. სამეურნეო სასწავლებლის დამთავრების მოწმობა და მეტრიკული ამონაწერი მიღებული ბახვის ეკლესიიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 578 3—1

დაკარგულია პიროვნების მოწმობა № 1633 მიცემული ფილიპე სირისა და ალექსი ბუბუტის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 571 3—2

იონა მიხეილის ძე ბაქრაძე აცხადებს რომ მან დაჰკარგა მოწმობა, კონტრ. მიღებული სახ. ქაღ. დამმზადებელ ექსპედიციის მიერ. 571 3—2

დაიკარგა ორი სულის სასურსათო ბარათი № 28445 ბრანისლავ პაშაკარნის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 551 3—2

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში გრიგოლ გაბრიელის ძე მელითაურმა შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი მარიამ რაჟდენის ასული, რომელზედაც გრიგოლ მელითაურმა დაიწერა ჯვარი 1907 წელსა უკვალოდ დაიკარგა 1917 წლ., რის გამო ქმარი მისი გრიგოლ მელითაური თხოულობს, თავის ცოლისგან განქორწინებას. საქართველოს რესპ. არსებულ კანონთა ძალით, ყველამ ვინც კი იცის მარიამ რაჟდენის ასულის მელითაურის მისამართი, ვალდებულია განუცხადოს სამიტროპოლიტო სასამართლოს მისი მისამართი, დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა ორი თვის განმავლობაში. 5 0 3—2

საქციზო სამმართველო ამით აცხადებს, რომ კონიაკის საწყობის პატრონებს ამხანაგობა „მერკურის“ მე-10 უბანში, კუთხე დიდი მთავრის და კრილოვის ქ., დაუკარგავთ ტფილისის სახელმწიფო ხაზინიდან კონიაკის ბანდეროლების გამოტანის ნებართვის მოწმობა № 775-ით 11 იანვრიდან 1919 წ. დავთარი კონიაკის ბანდეროლების შემოსავალ-გასავლის დადასტურებული სახელმწიფო კონტროლის მიერ 1919 წლისათვის № 337-ით და კონიაკის გადასატანი მოწმობებით რვეული, დადასტურებული საქციზო სამმართველოს მიერ 1919 წლისათვის № 17 ით. ეს დავთარი, რვეული და მოწმობა ამიერიდგან ითვლება გაბათილებულათ. 556 3—2

ავეტიქ მელქუმას ძე ხაჩუმოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული სიღნაღის ქალაქის თვითმართველობისაგან 1879 წ. № 568, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 514 3—2

დანიელ ფარსადანის ძე ისიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი, მიღებული ქუთ. პოლიცმეისტერის სამართველოდან, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 506 3—2

იოსებ გრიგოლის ძე არნაუტოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან 15 ნოემბერს 1919 წელს № 3096. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 430 3—3

მილიციელი კონსტანტინე ჯიბუტია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტრამვაიზე მიმოსვლის მოწმობა № 282, მიღებული მილიციის სამმართველოდან. მოწმობა გაუქმებულათ ითვლება. 408 3—2

ზაქარია ხაჩატურის ძე არიუთინოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სახლის დავთარი 1919 წ. მე-7 უბ. რკინის გზის ლიანდაგის გაღმა მდებარე სახლის. დავთარი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 429 3—2

თამარა გრიგოლის ასული ქლენტი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა მიღებული ტფილისის ქალაქის თვითმართველობიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 493 3—3

ვასილი გოგნიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა მიღებული ერობათა კავშირიდან 1919 წელს 13 დეკემბერს № 276 და პასპორტი მიღებული ახალქალაქის სოფლის სამმართველოდან № 98. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 417 3—3

სილიბისტრო ალექსის ძე სვანიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სასურსათო ბარათი № 6613 სამი სულის. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 478 3—2

გალუსტ ავეტისის ძე კარაპეტიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ვადაგასული პირადობის მოწმობა, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 559 3—1

გვარდიელი ირაკლი ონისიმის ძე თევზაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ვინტოვკის № 137847 და ნაგანის სისტემის რევოლვერის № 3054, ნებართვის მოწმობა № 592, მიღებული პირველ რაიონის გვარდიის შტაბის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 560 3—1

დამიანე მალაქიას ძე ხუხუნაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული სოფ. ზემოაკეთის კომისარიატიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 582 3—1

დაიკარგა ერთი სულის სასურსათო წიგნაკი № 26637 ექიმი ვ. ვ. შენგელიძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 583 3—1

სოფიო ივანეს ასული გოგიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ტფ. პოლიციის სამმართველოდან № 1482 და ორი ბანკის წიგნაკი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3—1 585

ირინე კარპის ასული კაპრანოვისა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. 10 უბნის კომისარიატიდან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 522 3—1

ვარლამ საჩინოს ძე გოგია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ერთი სულის სასურსათო წიგნაკი № 26105. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 523 3—1

ქ. ტფილისის მე-12 უბნის სასამართლოს ბოქაული ძამოევი აცხადებს, რომ 1920 წ. მარტის 13-ს, დილის 10 საათ. დანიშნულია საჯარო ვაჭრობა მარტიროს ალიხანიანის მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეიცავს სახლის ავეჯეულობას. მამული შეფასებულია 900 მ. საიდანაც დაიწყება ვაჭრობა. ვაჭრობა მოხდება სურფ-კარაპეტის ხევში, № 3, მე-21 სამომრიგ.. უბნის ბინაზე. 414 1—1

მიკირტიჩ აგაფას ძე გასპარიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საგირაო კვიტანცია № 84402 მიღებული ტფილისის კერძო ლომბარდიდან და პასპორტი, მიღებული ტფ. ქალაქის თვითმართველობისაგან, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 524 3—1

ვლადისლავი ავგუსტის ძე მორგილევსკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი, მიღებული ლობნენიო (პოლონეთი) გმინის სამართველოდან № 280. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 594 3—1

სენაკის სამ. ერობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ დაკარგულია თავისუფლების მოწმობა № 45, გაცემული სენაკის მაზრის სამხედრო კომისიის მიერ ტერენტი დგებუაძის სახელზე. მოწმობა გაუქმებულად ჩაითვალოს. 293 3—1

## კახეთის რკინის გზის საზ. გამგეობა

აუწყებს ბ. ბ. აქციონერებს, რომ საგანგებო საზოგადო კრება, რომლის განსახილველი საკითხები გამოცხადებული იყო „საქართველოს რესპუბლიკას“ მარტის № 57, შესდგება 1920 წ. აპრილის 13-ს სამშაბათს, დილის 11 საათზე, გამგეობის სადგომში, ელისაბედის ქუჩა № 73, ქ. ტფილისში.

ამ კრებაზე დასასწრებლად აქციებს ან მათ მაგიერ სახელმწიფო ბანკის და სხვა კერძო საკრედიტო დაწესებულებების მოწმობებს, რომ ამ მოწმობებში აღნიშნულ ნომრების აქციები მათ აქვთ შესანახად ან გირაოდ და არ იქმნებიან გაცემულნი მორიგი კრების მეორე დღემდე, გამგეობა მიიღებს ყოველ დღე, გარდა უქმეებისა, დილის 11 საათ. დღის 2 საათ. ზემო აღნიშნულ მისამართით; უკანასკნელი ვადა აქციების და მოწმობების წარმოდგენისა წესდების § 43 თანახმად შესრულდება 1920 წ. მარტის 30-ს, სამშაბათს, დღის 2 საათზე. 362 1—1

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. ასრ. გრიგოლ მაჭავარიანი.